განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამის შესახებ

მოხელის მენეჯერული უნარები

სსიპ „თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა“

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თამარ ურუშაძე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო

წევრი:

დავით მაკარიძე - სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

თბილისი

2020 წ.

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება	თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საიდენტიფიკაციო კოდი	205329697

ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო სასწავლო პროგრამა – „მოხელის მენეჯერული უნარები“
საათების რაოდენობა	40
სწავლების მეთოდი/ ფორმა	☒ელექტრონული კურსი ☒საკლასო მეცადინეობა
პროგრამის სტატუსი (ახალი/აკრედიტებული)	ახალი

აკრედიტაციის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

მოხელის მენეჯერული უნარების პროგრამა შედგენილია საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის 242 დადგენილებით დამტკიცებული ,,პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის“ გათვალისწინებით და მიზნად ისახავს დასახული კომპეტენციების განვითარებას მსმენელთათვის. პროგრამა შედგება 5 მოდულისაგან, რომლებიც ორიენტირებულია I და II რანგის პროფესიული საჯარო მოხელისათვის აუცილებელი მენეჯერული უნარების განვითარებაზე.

შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები გაეცნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციას.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 11 თებერვალს 10:00 საათიდან წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. სამუშაო განრიგის მიხედვით ჩატარდა შეხვედრები/გასაუბრებები პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან, კერძოდ: სკოლის დირექტორთან, პროგრამის შემმუშავებელ ჯგუფთან/პროფესიული განვითარების სამმართველოს წარმომადგენლებთან, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებთან, დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან და მოწვეულ ტრენერებთან. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (აუდიტორიები, კლასები და ა.შ.) დათვალიერება. სამუშაო ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ და კონსტრუქციულ გარემოში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა, ამომწურავად ემსჯელა და ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტების გათვალისწინებით.

ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს აკრედიტაციის ვიზიტის დროს გამოვლენილი ძირითადი მიგნებები.

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

სააკრედიტაციო განაცხადის ფარგლებში წარმოდგენილი/ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაციის შესწავლისა და ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო პროგრამის შინაარსი ცალკეულ საკითხთან მიმართებით არ შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნას. გარკვეული შეუსაბამობები გამოვლინდა ასევე, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ რესურსებთან მიმართებით.

რეკომენდაციები:

- სკოლის მიერ დამტკიცებულ „სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში აუცილებელია მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო სასწავლო პროგრამების შემუშავების შესაბამისი მეთოდოლოგიის ასახვა;
- პროფესიული განვითარების პროგრამის შემუშავების და ასევე, მისი შემდგომი განვითარების პროცესში, მიზანშეწონილია დაინტერესებულ პირთა ფართო თანამონაწილეობისა და ჩართულობის უზრუნველყოფა;
- სკოლამ საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა გახადოს პროგრამისა და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაცია;
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულობისა და ლოგიკურობის თვალსაზრისით დამატებით გააზრებას და გადამუშავებას საჭიროებს;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შესაბამისობაში უნდა მოვიდეს საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის N242 დადგენილებით განსაზღვრულს წესთან;
- აუცილებელია პროგრამით განსაზღვრული სწავლების მეთოდების საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის N242 დადგენილებით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- პროგრამაში ელექტრონული სწავლების მეთოდის გათვალისწინების შემთხვევაში, აუცილებელია, დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდეს ელექტრონული სწავლებისთვის სათანადო ინსტრუმენტები და ასევე, ელექტრონული სწავლებისთვის განსაზღვრული ინსტრუმენტების ეფექტურად გამოყენებისთვის, საჭიროა ტრენერთა გადამზადება;
- იმისათვის, რომ პროგრამის სტრუქტურა და კომპონენტები სრულად უზრუნველყოფდეს სწავლის შედეგების მიღწევას, აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებული ცალკეული საგნის სილაბუსში დაშვებული ხარვეზები გამოსწორდეს;
- სკოლამ პროგრამის კომპონენტების არა მხოლოდ ფორმალური, არამედ შინაარსობრივი თავსებადობა უნდა უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის N242 დადგენილებით განსაზღვრულ კომპეტენციებთან;
- პროგრამის მოქნილობის თვალსაზრისით, მიზანშეწონილია, პროგრამაში გათვალისწინებული იყოს მსმენელთათვის სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებასთან თავსებადი გრაფიკის შეთავაზება;
- პროგრამის განხორციელების გეგმა უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მიზნობრივი ჯგუფ(ებ)ის, სასწავლო თემატიკის საათობრივი განაწილების, სწავლებისა და შეფასების მეთოდების, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების შესახებ;
- მსმენელის მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დასადგენად, მიზანშეწონილია პროგრამით გათვალისწინებული შეფასების მეთოდების მოდიფიცირება;
- მსმენელთა შეფასებისა და პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის გაცემის წესის შესაბამისად შემუშავებული დასწრების ფურცლის ფორმა უნდა

ითვალისწინებდეს მსმენელთა დასწრების აღრიცხვას საათობრივი დატვირთვის გათვალისწინებით;

- დაწესებულებამ ტრენერს უნდა შესთავაზოს იმ საგანში ტრენინგის ჩატარება და ასახოს ეს მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში, რომელშიც მას უდასტურდება ბოლო სამი წლის განმავლობაში ტრენერად მუშაობის გამოცდილება;
- ტრენერებს, რომლებსაც არ უდასტურდებათ შესაბამის საგანში ბოლო 3 წლის განმავლობაში ტრენერად მუშაობის გამოცდილება, არ უნდა მიეცეთ ტრენინგების ჩატარების შესაძლებლობა;
- მსმენელთა ინტერესის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია დაწესებულებამ პროგრამის განხორციელებისას ალტერნატივის სახით შესთავაზოს მსმენელს ისეთი დატვირთვა, რომელიც არ აღემატება სამუშაო დღეებში 4 საათს;
- პროგრამაში გათვალისწინებული საათობრივი დატვირთვა შესაბამისობაში უნდა მოვიდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის N46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის დებულების“ მე-4 მუხლით განსაზღვრულ რეგულაციასთან;
- პროგრამაში ელექტრონული სწავლების მეთოდის გათვალისწინების შემთხვევაში, აუცილებელია, დაწესებულება უზრუნველყოფილი იყოს სათანადო ტექნიკური და პროგრამული აღჭურვილობით;
- მსმენელთა მიერ პროგრამის შეფასების კითხვარი საჭიროებს გაუმჯობესებას, ვინაიდან არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული მსმენელის მიერ პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებთან დაკავშირებით შეფასების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა დაწესებულების მიერ სამიზნე ნიშნულების შედგენას და იზრუნებდა მათ გაუმჯობესებაზე.

რჩევები:

- სასურველია მოდულების დასახელების საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის N242 დადგენილებასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- დაწესებულებამ მეტად უნდა უზრუნველყოს პროგრამის მიზნებისა და შედეგების თავსებადობა;
- სასწავლო პროგრამის თემატიკის, ტრენერთა შესაძლებლობებისა და ადმინისტრაციული საკითხების თაობაზე მსმენელთა მხრიდან უკუკავშირის განხორციელება სასურველია პროგრამის დასრულებამდეც განხორციელდეს;
- სასურველია, შეფასების სისტემა ყველა საგნისთვის უნიფიცირებული არ იყოს და საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით მოხდეს საგამოცდო დავალებების (იქნება ეს ტესტი, კაზუსი, პრეზენტაცია თუ სხვა) შემუშავება;
- სასურველია ნათლად გაიწეროს გადაბარების პროცედურა;
- სკოლის მიერ გასაცემ სერტიფიკატზე მისათითებელ ინფორმაციათა ჩამონათვალს, სასურველია დაემატოს მითითება პროგრამის აკრედიტაციის თარიღის და გადაწყვეტილების ნომრის თაობაზე, ასევე, სერტიფიკატის გაცემის თარიღისა და დაწესებულების ბეჭდის შესახებ;
- ხელშეკრულების გაფორმებისას უმჯობესი იქნება თუკი მოხდება ხელშეკრულებაში იმ შინაარსის პუნქტის ასახვა, რომელიც დაადასტურებს, რომ ტრენერი თავის ვალდებულებებს ასრულებს შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ. კონკრეტული თანხის მითითება აუცილებელი არ არის.

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან
1. პროგრამის შინაარსი	☐	☐	☒
2. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რესურსები	☐	☐	☒

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. სახელი, გვარი (თავმჯდომარე)
2. სახელი, გვარი (წევრი)

პროგრამის შესაბამისობის შეფასება აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. პროგრამის შინაარსი

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით (შემდგომში – დადგენილება) განსაზღვრულ მოთხოვნებთან. პროგრამის სტრუქტურა, მისი კომპონენტები, სწავლის მეთოდები და შეფასება უზრუნველყოფს პროგრამის დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1. პროგრამა შემუშავებულია და დამტკიცებულია დაწესებულებაში არსებული პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ - თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა (შემდგომში - სკოლა) 2016 წლიდან ფუნქციონირებს და მისი ძირითადი მისიაა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში პროფესიული და ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა. სკოლის აქტივობებისთვის სამიზნე აუდიტორიად განსაზღვრულია უსაფრთხოების სექტორის სამოქალაქო და სამხედრო (კაპიტნის წოდების მაღლა) პერსონალი. ასევე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო სასწავლო პროგრამების შემუშავებისას, სკოლამ იხელმძღვანელა სსიპ - თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის დირექტორის ბრძანებით (19/12/2019 MOD 0 1900000033) დამტკიცებული „სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტით. აღნიშნულ დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი, ზოგადად როგორ ხორციელდება სკოლაში სასწავლო პროგრამების დაგეგმვა და განვითარება. კერძოდ, ე.წ. ADDIE მოდელის შესაბამისად, რაც მოიცავს ხუთ ძირითად ფაზას: 1. ანალიზი 2. შემუშავება (დიზაინი) 3. განვითარება 4. განხორციელება 5. შეფასება. „სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტის შესაბამისად, ანალიზის ფაზის განმავლობაში ხორციელდება ტრენინგ საჭიროებების დადგენა, სამიზნე აუდიტორიის იდენტიფიცირება და კურსის მიზნების განსაზღვრა. აღნიშნულ ფაზაში სკოლა აქტიურად თანამშრომლობს შესაბამის სამსახურებთან როგორც უწყებრივ, ისე უსაფრთხოების სექტორის დონეზე. საჭიროების დასადგენად სკოლის მიერ უსაფრთხოების სექტორის დონეზე ჩამოყალიბებულია შემდეგი სამუშაო ჯგუფები: 1. უსაფრთხოების უწყების უფროსის მოადგილეებით დაკომპლექტებული სტრატეგიული მართვის საბჭო, თავდაცვის მინისტრის მოადგილის ხელმძღვანელობით; 2. სკოლის საქმიანობის კოორდინაციაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი - თავდაცვის სამინისტროსა და უსაფრთხოების უწყებების მიერ ოფიციალურად იდენტიფიცირებული საჯარო მოხელეებით; 3. ადამიანური რესურსების მართვის და სასწავლო დაწესებულების/სამსახურის წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი. პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტის გათვალისწინებით, აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი თითოეული პროგრამა შემუშავებული და დამტკიცებული

უნდა იყოს დაწესებულებაში არსებული პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. სკოლის მიერ დამტკიცებული „სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში არანაირი მითითება არ არსებობს, რა მეთოდოლოგიით ხდება უშუალოდ პროფესიული განვითარების საბაზისო სასწავლო პროგრამების დაგეგმვა/შემუშავება. გამომდინარე იქიდან, რომ მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო სასწავლო პროგრამას, შინაარსიდან გამომდინარე განსხვავებული სპეციფიკა ახასიათებს და არ შემოიფარგლება მხოლოდ უსაფრთხოების სექტორით, მიზანშეწონილია, სკოლის მიერ დამტკიცებულ „სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო სასწავლო პროგრამების შემუშავების შესაბამისი მეთოდოლოგიაც აისახოს.

როგორც უკვე აღინიშნა, სკოლაში არსებული პროგრამების შემუშავების ზოგადი მეთოდოლოგია ძირითადად აქცენტირებულია უსაფრთხოების სეგმენტზე, შესაბამისად, პროგრამების საჭიროების დასადგენადაც სკოლას, მხოლოდ, უსაფრთხოების სექტორის დონეზე ჩამოყალიბებული სამუშაო ჯგუფები აქვს შექმნილი. თავის მხრივ, რადგან პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამა ერთნაირი წარმატებით ეხება ნებისმიერ სფეროში დასაქმებულ საჯარო მოხელეს, შესაბამისად, პროგრამის შემუშავების მეთოდოლოგიაში, მხოლოდ, უსაფრთხოების თემატიკაზე აქცენტირება არარელევანტურია.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით (ცალკეული საგნის სილაბუსი) და ექსპერტთა ვიზიტისას სკოლის ადმინისტრაციულ პერსონალთან განხორციელებული ინტერვიუს დროს, ცალსახად გამოიკვეთა, რომ სკოლა პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის ძირითად სეგმენტადაც თავდაცვის სფეროში დასაქმებულ მოხელეებს მოიაზრებს და პროგრამის აქცენტიც მათ საჭიროებებზე უფრო მეტად კეთდება. რადგან არსებული კანონმდებლობა, პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის მსგავს ვიწრო სპეციალიზაციას არ ითვალისწინებს, შესაბამისად, მიზანშეწონილია, სკოლამ თავის მიერ დამტკიცებულ „სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო სასწავლო პროგრამების შემუშავების მეთოდოლოგია, არსებული პროგრამების შემუშავების მეთოდოლოგიისგან განსხვავებული სპეციფიკით განსაზღვროს.

ინდიკატორები:

- o დანართი 10 - სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის მიერ შემუშავებული „სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტი;
- o დანართი 1- სასწავლო პროგრამა (კურიკულუმი) – „მოხელის მენეჯერული უნარები“;
- o ინტერვიუს შედეგები პროგრამების შემმუშავებელ ჯგუფთან.

რეკომენდაციები:

- სკოლის მიერ დამტკიცებულ „სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში აუცილებელია მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო სასწავლო პროგრამების შემუშავების შესაბამისი მეთოდოლოგიის ასახვა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- o

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2. პროგრამის შემუშავება/განვითარება თანამონაწილეობითი პროცესია, რომელშიც უზრუნველყოფილია დაინტერესებულ პირთა ჩართულობა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო პროგრამების შედგენის ყველა ეტაპზე (ანალიზი-შემუშავება-განვითარება-განხორციელება-შეფასება) სკოლა, როგორც წესი, აქტიურად თანამშრომლობს შესაბამის დაინტერესებულ პირებთან (stakeholders).

პროგრამების ანალიზის ფაზაში მიმდინარე საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით, სკოლა თანამშრომლობს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის უწყებებთან სკოლის მიერ ინიცირებული სამუშაო ჯგუფების საშუალებით.

რაც შეეხება უშუალოდ „მოხელის მენეჯერული უნარების“ პროფესიული განვითარების პროგრამის შემუშავება/განვითარების პროცესში დაინტერესებულ პირთა ჩართულობის უზრუნველყოფას, როგორც დასკვნის 1.1 პუნქტში აღინიშნა, სკოლას „სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში არანაირი მითითება არ აქვს, თუ რა მეთოდით ახდენს პროფესიული განვითარების საბაზისო სასწავლო პროგრამების დაგეგმვა/შემუშავებას და შესაბამისად, ბუნდოვანია, როგორ უნდა მოხდეს პროგრამების შემუშავების პროცესში დაინტერესებულ პირთა ჩართულობის უზრუნველყოფაც. უფრო მეტიც, ვიზიტის დროს სკოლის დირექტორთან განხორციელებული ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ რადგან „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის N242 დადგენილებით დამტკიცებული წესი განსაზღვრავს პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებებსა და ძირითად სტანდარტებს, სკოლამ დამატებითი ანალიზის ჩატარება უშუალოდ „მოხელის მენეჯერული უნარების“ პროფესიული განვითარების პროგრამის შემუშავება/განვითარების მიზნით, მიზანშეწონილად არ მიიჩნია და იხელმძღვანელა სკოლაში არსებული ზოგადი მიდგომებით.

თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო სასწავლო პროგრამას შინაარსიდან გამომდინარე განსხვავებული სპეციფიკა ახასიათებს და არ შემოიფარგლება მხოლოდ უსაფრთხოების თემატიკით, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, პროგრამის შემუშავების ფაზაში, მიზანშეწონილი იყო, საჭიროებების ანალიზი, სამიზნე აუდიტორიის იდენტიფიცირება და პროგრამის მიზნების განსაზღვრა უშუალოდ „მოხელის მენეჯერული უნარების“ პროფესიული განვითარების პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით განხორციელებულიყო. მსგავს შემთხვევაში, სკოლა გაცილებით უფრო ეფექტურად შეძლებდა „მოხელის მენეჯერული უნარების“ პროგრამის ფარგლებში სასწავლო ამოცანების ფორმირებას; ტრენერების შერჩევას; სასწავლო თემატიკის, ფორმატისა და მეთოდოლოგიის განსაზღვრას; სასწავლო მოდულების ფორმირებას და სასწავლო კურსის სტრუქტურის შემუშავებასაც.

აკრედიტაციის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ვიზიტის დროს სკოლის ადმინისტრაციულ პერსონალთან და მოწვეულ ტრენერებთან გასაუბრების ეტაპზე გამოვლინდა, რომ, „მოხელის მენეჯერული უნარების“ პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში სკოლამ ითანამშრომლა მოწვეულ ტრენერებთან, მხოლოდ, სილაბუსების, შეფასების ინსტრუმენტებისა და დამხმარე მასალების განვითარების კუთხით. კერძოდ, წარმოდგენილი სამუშაო შეხვედრების ანგარიშების შესაბამისად, მოწვეული ტრენერების ჩართულობით განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- სკოლის მიერ შესაბამისი ტრენერების იდენტიფიცირება (სკოლის ტრენერებისა და საჯარო სამსახურის ბიუროს ტრენერთა ბაზის გათვალისწინებით);
- იდენტიფიცირებული ტრენერების თემატურ სამუშაო ჯგუფებში გადანაწილება;
- აღნიშნული ჯგუფების მიერ მოდულის ცალკეული საგნების სილაბუსების შემუშავება;
- მოდულის პილოტირება.

თუმცა, როგორც ვიზიტის დროს მოწვეულ ტრენერებთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, ტრენერთა უმრავლესობა სრულყოფილად არ ფლობს ინფორმაციას პროგრამის სტრუქტურასთან დაკავშირებით და ასევე, მათ შორის არ არსებობს საერთო ხედვა პროგრამაში გათვალისწინებულ შეფასების მექანიზმებთან დაკავშირებით. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ნაკლებად დამაჯერებლად ჟღერს, რომ პროგრამის შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესის ფარგლებში განხორციელდა.

ინდიკატორები:

- ტრენერებთან კურსის/მოდულის შემუშავების პროცესში განხორციელებული კორესპონდენცია ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;
- დანართი 13 - კურსის/მოდულის შემუშავების პროცესში ჩატარებული სამუშაო შეხვედრების ანგარიშები;
- დანართი 9 – „მოხელის მენეჯერული უნარები“ მოდულის საპილოტე ვერსიის განხორციელების დღის წესრიგი;
- დანართი 11 - ტრენერებთან გაფორმებული შეთანხმებები შრომითი ურთიერთობის თაობაზე;
- სსიპ - თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის დირექტორთან ინტერვიუს შედეგები;
- ტრენერებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- პროფესიული განვითარების პროგრამის შემუშავების და ასევე, მისი შემდგომი განვითარების პროცესში მიზანშეწონილია დაინტერესებულ პირთა ფართო თანამონაწილეობისა და ჩართულობის უზრუნველყოფა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.3. დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამისა და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებაში ამ ეტაპზე არ არის უზრუნველყოფილი პროგრამისა და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა. დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, პროგრამის აკრედიტაციის დადასტურების შემდგომ უზრუნველყოფს სკოლა პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაციის განთავსებას სკოლის ვებგვერდზე https://dibs.mod.gov.ge/ .

აკრედიტაციის სტანდარტის დაკმაყოფილების მიზნით, სკოლას შეეძლო ვებგვერდზე განეთავსებინა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავების პროცესშია და მიმდინარეობს მათი აკრედიტაცია. ასევე, უზრუნველყო პროგრამისა და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაციის საჯაროდ განთავსება.

ინდიკატორები:

- სსიპ - თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის ვებგვერდი https://dibs.mod.gov.ge/
- სკოლის ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუ

რეკომენდაციები:

- სკოლამ საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა გახადოს პროგრამისა და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაცია.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4. პროგრამის სტრუქტურა არის თანმიმდევრული და ლოგიკური; პროგრამის სტრუქტურა და კომპონენტები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

<u>აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი პროგრამის სტრუქტურა ბუნდოვანია და საჭიროებს გადამუშავებას შემდეგ გარემოებათა გამო:</u>

1. დაწესებულებას არ აქვს გააზრებული რა არის პროგრამის სახელწოდება და რა კომპონენტებისგან შედგება იგი. ერთი მხრივ, პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში პროგრამის სახელწოდებად მითითებულია - პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამა „მოხელის მენეჯერული უნარების“ მოდული; მეორე მხრივ, პროგრამის კურიკულუმის სახელწოდებად განსაზღვრულია - პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამა და ამ პროგრამის შემადგენელ მოდულებს წარმოადგენს „მოხელის მენეჯერული უნარები და „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარება“.

წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და კურიკულუმში მითითებულია, რომ „მოხელის მენეჯერული უნარების“ კურსი/მოდული თავის მხრივ კიდევ შედგება 5 მოდულისგან: 1. ორგანიზაციული მართვა; 2. პროფესიული კომუნიკაცია; 3. ღირებულებები საჯარო სამსახურში; 4. ადამიანური რესურსების მართვა; 5. ცვლილებების მართვა.

აკრედიტაციის ვიზიტის დროს, პროგრამის შემმუშავებელ ჯგუფთან და ხარისხის სამსახურის მენეჯერთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ თავად დაწესებულების წარმომადგენელთათვისაც ბუნდოვანია, კონკრეტულად რა სახელწოდებით უნდა მოიხსენიონ პროგრამა. შესაბამისად, ვერ განმარტეს, თუ რამ განაპირობა მოდულის და არა პროგრამის სააკრედიტაციოდ წარმოდგენა, ასევე, მოდულში მოდულების გათვალისწინება.

„პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის N242 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამა იყოფა საბაზისო და დამატებით პროგრამებად. ამავე წესის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად კი II და I რანგის მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო სასწავლო პროგრამას წარმოადგენს – „მოხელის მენეჯერული უნარები“. აღნიშნულ ნორმათა ანალიზის საფუძველზე ცალსახაა, რომ პროგრამის სახელწოდება გასასწორებელია და პროგრამის სახელი უნდა მიეთითოს ისე როგორც დადგენილებაშია მოხსენიებული - ***„მოხელის მენეჯერული უნარების“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამა.***

ამას გარდა, პროგრამის სტრუქტურის თვალსაზრისითაც, არ არის ლოგიკური მოდულში მოდულების არსებობა. თავისი არსით მოდული განიმარტება, როგორც მონათესავე საგანთა ერთობლიობა. როგორც წესი, მოდულში განისაზღვრება საგანთა ურთიერთკავშირები და თანმიმდევრობა და სწორედ, მსგავსად დაჯგუფებული რამდენიმე მოდულისგან შედგება სასწავლო პროგრამა. აღნიშნულ პრინციპზე დაყრდნობით, როდესაც საგანთა ურთიერთკავშირის განსაზღვრას ახდენს ზემოაღნიშნული საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის N242 დადგენილება, დანართში გარკვეულ საგანთა ჯგუფს, როგორც მენეჯერული უნარების მოდულს ისე მოიხსენიებს. (რამაც დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით შეცდომაში შეიყვანა სკოლა პროგრამის სახელის განსაზღვრისას). თუმცა, ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზის საფუძველზე ცალსახაა, რომ აღნიშნული საგანთა ჯგუფი, რომელიც პირობითად მენეჯერული უნარების მოდულში არის დაჯგუფებული ***„მოხელის მენეჯერული უნარების“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის*** შემადგენელ სავალდებულო სასწავლო კომპონენტებს წარმოადგენს და არ შეიძლება მოდული მოვიაზროთ, როგორც დამოუკიდებელი სააკრედიტაციო პროგრამა.

2. პროგრამის სახელწოდების და სტრუქტურის გარდა, პრობლემატურია 5 მოდულში გაერთიანებულ საგანთა სახელწოდებებიც. წარმოდგენილი პროგრამა დადგენილების დანართით განსაზღვრულ თითოეულ სავალდებულო საგანს აერთიანებს სხვადასხვა მოდულში (რაც სრულიად მისაღებია) თუმცა, ზუსტად არ გადმოაქვს მათი დასახელება. სავალდებულო საგანთა იდენტიფიცირების მიზნით, მიზანშეწონილია პროგრამაში ზუსტად იყოს გადმოტანილი დადგენილების დანართით განსაზღვრული საგნების დასახელებაც, რადგან მაქსიმალურად იქნეს უზრუნველყოფილი პროგრამის დადგენილებით გათვალისწინებულ პროფესიულ განვითარების სტანდარტებთან შესაბამისობა.

3. პროგრამის სტრუქტურის ლოგიკურობის გააზრებისას მნიშვნელოვანია ასევე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებზეც ყურადღების გამახვილება. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის N242 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „II და I რანგის ის მოხელე, რომელიც დანიშნულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით ღია კონკურსის საფუძველზე და აქვს მენეჯერული გამოცდილება, საჯარო დაწესებულების გადაწყვეტილებით გადის „მოხელის მენეჯერული უნარები“ – სასწავლო კურსის ამ წესის დანართით გათვალისწინებულ №4 და №5 საგნებს, დანიშვნიდან ერთი წლის განმავლობაში“. წარმოდგენილი პროგრამის დაშვების წინაპირობებში აღნიშნული შემთხვევა განხილული არ არის და შესაბამისად, სკოლას არ აქვს გათვალისწინებული შესაბამისი მექანიზმი, რომლის მეშვეობით, საჯარო დაწესებულების მოთხოვნის შემთხვევაში, „მოხელის მენეჯერული უნარების“ – სასწავლო კურსის ფარგლებში, მხოლოდ №4 და №5 საგნების შეთავაზებას უზრუნველყოფს მსმენელთათვის.

4. პროგრამის სტრუქტურის ლოგიკურობის და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფისთვის, აუცილებელია, სწორად იყოს შერჩეული პროგრამის სწავლების მეთოდები. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის N242 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, განსაზღვრულია პროფესიული განვითარების პროგრამების (საბაზისო და დამატებითი) სწავლების მეთოდები და ფორმები. აღნიშნული ნორმის საფუძველზე, პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის მეთოდად (აკრედიტაციის მიზნებისთვის) შესაძლოა გამოყენებულ იქნეს **ელექტრონული კურსი,** რაც გულისხმობს დისტანციურ სწავლებას და **საკლასო მეცადინეობა,** რაც გულისხმობს ტრენერის თანდასწრებით მეცადინეობას ლექციის, სემინარისა და სხვა ფორმატში.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში სწავლების მეთოდად მონიშნულია, როგორც ელექტრონული კურსი, ასევე, საკლასო მეცადინეობა. პროგრამის კურიკულუმში, სწავლების ფორმად მითითებულია - საკლასო მეცადინეობა, შერეული სწავლების ფორმა და სწავლა კეთებით. უნდა აღინიშნოს, რომ რადგან დაწესებულებას სწავლების ფორმად მონიშნული აქვს ელექტრონული კურსი, ბუნებრივია მის მიერ წარმოდგენილ პროგრამაში გათვალისწინებული უნდა იყოს ელექტრონული სწავლებისთვის დამახასიათებელი ყველა ასპექტი.

თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს ელექტრონული სწავლების მეთოდთან დაკავშირებით არსებულ კითხვებზე დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ პროგრამით გათვალისწინებული 40 საათიდან მხოლოდ 2 საათი ეთმობოდა კონკრეტულ თემაზე დისტანციურ სწავლებას და აღნიშნული მოიაზრეს როგორც სწავლების შერეულ მეთოდად. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პროგრამას ელექტრონული კურსის შეთავაზება მსმენელთათვის სრულფასოვნად არ შეუძლია და შემოიფარგლება მხოლოდ ერთი კონკრეტული მოდულის (მოდული 3. ღირებულებები საჯარო სამსახურში) შესაბამისი საგნისთვის (სექსუალური შევიწროვება) საკლასო მეცადინეობის ფარგლებში დისტანციური დამხმარე საშუალების შეთავაზებით. (კერძოდ, მსმენელს 2 საათის განმავლობაში შეუძლია დისტანციურად გაიაროს აღნიშნული საგნის პრაქტიკული კომპონენტი ვიდეო გაკვეთილის მსგავსი პრაქტიკული სავარჯიშოს შესრულებით).

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, დაწესებულების მიერ შემოთავაზებული სწავლების ფორმა არ შეესაბამება ზემოაღნიშნული დადგენილებით განსაზღვრულ სწავლების არც ერთ მეთოდს შემდეგ გარემოებათა გამო:

პირველ რიგში, როდესაც საუბარია ელექტრონულ სწავლებაზე, იგი ეხება არა მხოლოდ ტექნიკურ აღჭურვილობას, რომელიც სწავლების მხარდასაჭერად გამოიყენება (კერძოდ, პროგრამული და ტექნიკური უზრუნველყოფა), არამედ ასევე უნარ-ჩვევებს, რომლებიც აუცილებელია ამ ელექტრონული სწავლების ინსტრუმენტების შემუშავებისა და ეფექტური გამოყენებისთვის. საჭიროა ტრენერთა მზაობა იმასთან დაკავშირებით, რომ ეფექტურად გამოიყენოს ელექტრონული სწავლების ინსტრუმენტები და ასევე, ტექნიკური და ადმინისტრაციული მხარდაჭერა იმისთვის, რომ ყველაფერი შეუფერხებლად მიმდინარეობდეს.

თავის მხრივ, ელექტრონული სწავლება არ შეიძლება გაიგივებულ იქნეს წარმოდგენილ პროგრამაში გათვალისწინებულ 2 საათიანი კომპონენტის დისტანციურ სწავლებასთან (რაც მოცემულ შემთხვევაში მოხდა). წარმოდგენილი პროგრამით გათვალისწინებული დისტანციური სწავლება კონკრეტული საგნისთვის (სექსუალური შევიწროვება) განკუთვნილი კომუნიკაციის რეჟიმი უფროა, ვიდრე ელექტრონული სწავლების ფორმატი. აღნიშნული კურსი გათვლილია მსმენელთა იმ კატეგორიისთვის, რომლებიც ფაქტორივად არ იმყოფებიან საგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე. თუმცა, როდესაც აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი პროგრამა სწავლების მეთოდად ითვალისწინებს ელექტრონულ სწავლებას და რეალურად მასში მსმენელთათვის მხოლოდ და მხოლოდ 2 საათიანი დისტანციური კურსის (ვიდეო გაკვეთილის) შეთავაზებას მოიაზრებს, აღნიშნული არ შეიძლება ჩაითვალოს აკრედიტაციის სტანდარტის თავსებადად. ამას გარდა, აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში შემუშავებული არ აქვს ელექტრონული სწავლებისთვის განკუთვნილი ინსტრუმენტები და ასევე, ვერ დადასტურდა პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების (ტრენერების) მზაობა ელექტრონული სწავლების მეთოდების ეფექტურად გამოყენებასთან მიმართებით.

უფრო მეტიც, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არაერთგვაროვნად არის მოხსენიებული სწავლების რომელ მეთოდს იყენებს სკოლა რეალურად - ელექტრონულ სწავლებას თუ სწავლების შერეულ მეთოდს, რადგან ორივე მათგანს განსხვავებული სპეციფიკა ახასიათებს. მიუხედავად იმისა, რომ სწავლების შერეული მეთოდი საკმაოდ აპრობირებული მეთოდია საერთაშორისო დონეზე და იგი გამოიყენება, იმისათვის, რომ აღიწეროს, თუ როგორ ხორციელდება ელექტრონული სწავლება ტრადიციულ სასწავლო მეთოდებთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ სწავლების ეს კონკრეტული ფორმა არ არის მოხსენიებული საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის N242 დადგენილებით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებში და შესაბამისად, დაწესებულება მოკლებულია შესაძლელობას საკუთარი ინიციატივით აკრედიტაციის მიზნებისთვის წარმოდგენილ პროგრამაში სწავლების ძირითად ფორმად გამოიყენოს აღნიშნული მეთოდი. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი ფორმით არსებული დისტანციური კურსი, არც სწავლების შერეული მეთოდისთვის შეიძლება ჩაითვალოს ადეკვატურ გამოვლინებად.

5. პროგრამის მიზნებისა და შედეგების თავსებადობის უზრუნველსაყოფად: კურიკულუმში კურსის ზოგად აღწერაში, სადაც პროგრამის მიზნებია წარმოდგენილი, მიზანშეწონილია მიეთითოს, რომ პროგრამა ანტიკორუფციული პოლიტიკის მიმართულებითაც აწვდის მსმენელს ინფორმაციას. რადგან პროგრამას შედეგში კორუფციული გადაცდომების იდენტიფიცირება და რეაგირების მოხდენა წერია. ასევე, საკითხის აქტუალურობისა და სენსიტიურობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, კურიკულუმში სწავლის შედეგების გრაფაში, დამოკიდებულების ქვეკომპონენტში სადაც თანასწორობაზე წერია, გენდერულ თანასწორობაზეც გამახვილდეს ყურადღება, რადგან პროგრამით გათვალისწინებული საგნების ფარგლებში „გენდერული თანასწორობა და სექსუალური შევიწროვების აღმოფხვრა სამუშაო ადგილზე“ ისწავლება.

6. იმისათვის რომ პროგრამის სტრუქტურა და კომპონენტები სრულად უზრუნველყოფდეს სწავლის შედეგების მიღწევას, აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებული ცალკეული საგნის სილაბუსში დაშვებული ხარვეზი გამოსწორდეს. კერძოდ:

ა) **„ორგანიზაციული მართვა“** - სამიზნე აუდიტორიაში წერია უსაფრთხოების სექტორის მენეჯერული და არამენეჯერული პოზიციის მქონე საჯარო მოხელეები - წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში არამენეჯერული პოზიციის მქონე საჯარო მოხელეები ვერ ჩაითვლება სამიზნე აუდიტორიად;

ბ) **„ღირებულებები და ეთიკა საჯარო სამსახურში“** - კურიკულუმის შესაბამისად უნდა მოიცავდეს ორგანიზაციული კულტურის თემასაც, რაც სილაბუსში საათების მიხედვით გადანაწილებულ თემებში არ ფიქსირდება. თუმცა, სასწავლო ლიტერატურაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მითითებულია მასალა;

გ) ადამიანური რესურსების მართვა - სამიზნე აუდიტორიაში უსაფრთხოების მენეჯერული და არამენეჯერული პოზიციის მქონე პირები წერია. წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში არამენეჯერული პოზიციის მქონე საჯარო მოხელეები ვერ ჩაითვლება სამიზნე აუდიტორიად.

ასევე, კურიკულუმში თემატიკაში მითითებულია გუნდის მართვა, დროის მართვა და თვით მართვა, თუმცა, უშუალოდ საგნის სილაბუსი არ ითვალისწინებს ამ თემატიკას. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ამავე სილაბუსში საგნის მიზანსა და შედეგში გუნდის მართვაზე არის მითითება, იმის მიუხედავად, რომ საათობრივად გადანაწილებულ თემებში აღნიშნული საკითხი არ ისწავლება. ასევე, კომპეტენციებში წერია, რომ გამოუმუშავებს გუნდის მართვის უნარს. თუმცა, არც მითითებულ ლიტერატურაში აქვს ამ საკითხთან დაკავშირებით გათვალისწინებული არანაირი მასალა;

დ) სექსუალური შევიწროვების აღმოფხვრა სამუშაო ადგილზე - სამიზნე აუდიტორიაში - თავდაცვის და უსაფრთხოების სექტორის სამხედრო და სამოქალაქო პერსონალი წერია, მე-2 და პირველი რანგის პროფესიულ მოხელეზე არ არის დაკონკრეტება.

ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული კურსის სპეციფიკა არ არის კარგად გააზრებული. როგორც ვიზიტისას ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, აღნიშნული საგანი, როგორც დამოუკიდებელი საგანი ისე არ ისწავლება და იგი მე-3 მოდულში გაერთიანებული „სექსუალური შევიწროვების“ საგნისთვის პრაქტიკული დავალების სახით გამოიყენება. ამ ყველაფრის ფონზე გაურკვეველია რამ განაპირობა პრაქტიკული კომპონენტისთვის ცალკე სილაბუსის არსებობა და რატომ არ არის ამ სილაბუსში განსაზღვრული თემატიკა „სექსუალური შევიწროვების“ საგანში ინტეგრირებული.

ბუნდოვანია ამ საგნის (თემის) სწავლების მეთოდიც, რადგან დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით ის მსმენელთათვის შეთავაზებულია, როგორც ონლაინ (დისტანციური) კურსი, თუმცა, არ არის მკაფიოდ განსაზღვრული თუ როგორ ხდება ამ ონლაინ კურსის პროგრამის სწავლების მეთოდოლოგიაში ასახვა.

ამას გარდა, აღსანიშნავია, რომ სილაბუსში განსაზღვრულ კომპეტენციებსა და სწავლის შედეგებს შორის ცდომილებაა. მაგ. კომპეტენციებში ნაცვლად იმისა, რომ ეწეროს თუ რა უნარს უმუშავებს, ზოგადად წერია - ადამიანის უფლებები.

ასევე, წარმოდგენილი სილაბუსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მექანიზმი განსხვავდება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შეფასების კრიტერიუმებისგან და ამ განსხვავებაზე არც კურიკულუმში და არც შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცებულ დოკუმენტში მითითება არ არის.

ინდიკატორები:

- o დანართი 1 - სასწავლო პროგრამა (კურიკულუმი) – „მოხელის მენეჯერული უნარები“;
- o დანართი 6 - სასწავლო პროგრამის განრიგი/გეგმა;
- o დანართი 3 - მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- o პროგრამაში ჩართულ პირებთან განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულობისა და ლოგიკურობის თვალსაზრისით დამატებით გააზრებას და გადამუშავებას საჭიროებს;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შესაბამისობაში უნდა მოვიდეს საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის N242 დადგენილებით განსაზღვრულ წესთან;
- აუცილებელია პროგრამით განსაზღვრული სწავლების მეთოდების საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის N242 დადგენილებით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- პროგრამაში ელექტრონული სწავლების მეთოდის გათვალისწინების შემთხვევაში, აუცილებელია, დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდეს ელექტრონული სწავლებისთვის სათანადო ინსტრუმენტები და ასევე, ელექტრონული სწავლებისთვის განსაზღვრული ინსტრუმენტების ეფექტურად გამოყენებისთვის, საჭიროა ტრენერთა გადამზადება;
- იმისათვის, რომ პროგრამის სტრუქტურა და კომპონენტები სრულად უზრუნველყოფდეს სწავლის შედეგების მიღწევას, აუცილებელია, პროგრამით გათვალისწინებული ცალკეული საგნის სილაბუსში დაშვებული ხარვეზები გამოსწორდეს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია მოდულების დასახელება შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის N242 დადგენილებასთან;
- სასურველია უფრო მკაფიოდ განისაზღვროს პროგრამის მიზნებისა და შედეგების თავსებადობა.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5. პროგრამის კომპონენტები უკავშირდება დადგენილებით განსაზღვრული შესაბამისი კომპეტენციების შეძენას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის კომპონენტები ფორმალურად უკავშირდება დადგენილებით განსაზღვრული შესაბამისი კომპეტენციების შეძენას, რადგან კურიკულუმში პირდაპირ გადმოტანილია იმ კომპეტენციათა ჩამონათვალი რასაც საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის N242 დადგენილებით დამტკიცებული დანართი ითვალისწინებს. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ დასკვნის 1.4 პუნქტში მითითებული გარემოებების გათვალისწინებით პროგრამის კომპონენტები ხშირ შემთხვევაში ნაკლოვანია, პროგრამის კომპონენტების შინაარსობრივი თავსებადობა დადგენილებით განსაზღვრულ შესაბამის კომპეტენციებთან ნაკლებად სარწმუნოა.

ინდიკატორები:

- დანართი 1 - სასწავლო პროგრამა (კურიკულუმი) – „მოხელის მენეჯერული უნარები“;
- დანართი 2 - ცალკეული საგნების სილაბუსები;
- დანართი 3 - მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა.

რეკომენდაციები:

- სკოლამ პროგრამის კომპონენტების არა მხოლოდ ფორმალური, არამედ შინაარსობრივი თავსებადობა უნდა უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის N242 დადგენილებით განსაზღვრულ კომპეტენციებთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.6. პროგრამის ხანგრძლივობა შესაბამისობაშია დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნასთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ხანგრძლივობად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის N242 დადგენილებით დამტკიცებული დანართით გათვალისწინებული მაქსიმალური საათობრივი დატვირთვა - 40 საათი.

პროგრამის ხანგრძლივობა ფორმალურად შესაბამისობაშია დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნასთან, თუმცა, პროგრამის მოქნილობის თვალსაზრისით, მიზანშეწონილია პროგრამას შეეძლოს მსმენელისთვის სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებასთან თავსებადი გრაფიკის შეთავაზება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის და დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ პროგრამის განრიგი აგებულია დღის განმავლობაში

მაქსიმალურ 6 საათიან დატვირთვაზე. შესაბამისად, მსმენელი მოკლებულია შესაძლებლობას პროგრამა სამუშაო საათებში გაიაროს. იმ შემთხვევაში, თუ საჯარო დაწესებულების ინტერესის გათვალისწინებით მიზანშეწონილად არ ჩაითვალა პროგრამის სრული ხანგრძლივობით თანამშრომლის სამსახურეობრივი მოვალეობებისაგან გათავისუფლება, პროგრამაში გათვალისწინებული არ არის მსმენელთათვის 4 საათიანი დატვირთვის ალტერნატივის შეთავაზება.
ინდიკატორები: o დანართი 1 - სასწავლო პროგრამა (კურიკულუმი) – „მოხელის მენეჯერული უნარები“; o დანართი 6 - პროგრამის განხორციელების განრიგი; o დაწესებულების წარმომადგენლებთან განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • პროგრამის მოქნილობის თვალსაზრისით, მიზანშეწონილია, პროგრამაში გათვალისწინებული იყოს მსმენელთათვის სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებასთან თავსებადი გრაფიკის შეთავაზება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის •
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) • მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.7. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მასალა და პროგრამის განხორციელების გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას: ა) სასწავლო მასალა შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიხედვით რელევანტური მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებს; ბ) პროგრამის განხორციელების გეგმა შეიცავს ინფორმაციას მიზნობრივი ჯგუფ(ებ)ის, სასწავლო თემატიკის საათობრივი განაწილების, სწავლებისა და შეფასების მეთოდების, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების შესახებ.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის შესაბამისად და აკრედიტაციის ვიზიტზე ტრენერებთან/პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან გასაუბრების დროს გამოვლინდა, რომ ცალკეული საგნის სილაბუსის შემუშავების ეტაპზე შეიქმნა თემატური სამუშაო

ჯგუფები, რომელთა მიერ მოხდა პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მასალების იდენტიფიცირება.

ტრენერთა განმარტებით, სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად მოიძიეს და სკოლაში განათავსეს სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა. აღნიშნული ინფორმაცია ვიზიტის დროს გადამოწმდა და დადასტურებულად ჩაითვალა ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების განრიგი (გეგმა) შეიცავს ინფორმაციას სასწავლო კომპონენტების (მოდულების) საათობრივი განაწილების თაობაზე, თუმცა, როგორც სტანდარტშია მითითებული, რომ პროგრამის განხორციელების გეგმა უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მიზნობრივი ჯგუფ(ებ)ის, სასწავლო თემატიკის საათობრივი განაწილების, სწავლებისა და შეფასების მეთოდების, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების შესახებ - აღნიშნული არ დასტურდება.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა „მოხელის მენეჯერული უნარები“ მოდულის საპილოტე ვერსიის განხორციელების დღის წესრიგი, სადაც სასწავლო თემატიკის საათობრივი განაწილების, სწავლების მეთოდების, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების შესახებ ინფორმაცია არის მოცემული. მაგრამ, რადგან აკრედიტაციის მიზნებისთვის ექსპერტთა ჯგუფი პროგრამის საპილოტე ვერსიის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობას არ ადგენს, ამ დოკუმენტის არსებობა სტანდარტის დამადასტურებელ ინდიკატორად არ გამოდგება.

ინდიკატორები:

- დანართი 1 - სასწავლო პროგრამა (კურიკულუმი) – „მოხელის მენეჯერული უნარები“;
- დანართი 2 - ცალკეული საგნების სილაბუსები;
- დანართი 6 - პროგრამის განხორციელების განრიგი;
- დანართი 9 - “მოხელის მენეჯერული უნარები“ მოდულის საპილოტე ვერსიის განხორციელების დღის წესრიგი.

რეკომენდაციები:

- პროგრამის განხორციელების გეგმა უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მიზნობრივი ჯგუფ(ებ)ის, სასწავლო თემატიკის საათობრივი განაწილების, სწავლებისა და შეფასების მეთოდების, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების შესახებ.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.8. პროგრამა ითვალისწინებს მსმენელთა მიერ პროგრამის შეფასებას, ხოლო უკუკავშირის შედეგები გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის შესაბამისად და აკრედიტაციის ვიზიტის დროს ხარისხის სამსახურის მენეჯერთან გასაუბრებისას, გამოვლინდა რომ პროგრამა ორ ეტაპიან შეფასებას ითვალისწინებს - დასრულების და დასრულებიდან 6 თვის შემდეგ. სასურველია, მხოლოდ პროგრამის დასრულებას არ უკავშირდებოდეს მსმენელთა მიერ პროგრამის შეფასება, რადგან სასწავლო პროგრამის თემატიკის, ტრენერთა შესაძლებლობებისა და ადმინისტრაციული საკითხების შესახებ მსმენელთა გამოკითხვა პროგრამის დასრულებამდეც თუ არ განხორციელდა, უკუკავშირის შედეგები სრულყოფილად ვერ იქნება გამოყენებული მსმენელთა ინტერესების გათვალისწინებით პროგრამის გასაუმჯობესებლად. რადგან პროგრამის დასრულების შემდეგ შეფასების მოსმენა პროგრამის სამომავლო განვითარებაზე უფროა ორიენტირებული (რაც ასევე მისასალმებელია) ვიდრე არსებული ნაკლოვანების მყისიერ გაუმჯობესებაზე.
ინდიკატორები: o დანართი 10 - სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის მიერ შემუშავებული „სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტი (დანართი 6- სასწავლო პროგრამის შეფასება; დანართი 4 - შეფასების კითხვარი მსმენელებისთვის); o სკოლის ხარისხის სამსახურის მენეჯერთან განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: •
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასწავლო პროგრამის თემატიკის, ტრენერთა შესაძლებლობებისა და ადმინისტრაციული საკითხების თაობაზე მსმენელთა მხრიდან უკუკავშირის განხორციელება სასურველია პროგრამის დასრულებამდეც განხორციელდეს.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) • მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.9. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს:
ა) სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, წინასწარ შედგენილი შეფასების გეგმის მიხედვით;
ბ) პროგრამით გათვალისწინებულია შეფასების ადეკვატური ფორმები და მეთოდები, რომელიც მსმენელის მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა;
გ) სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, რაც გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის შინაარსის და/ან სწავლის შედეგების და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის შესაბამისად და დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, სწავლის შედეგების შეფასების მიზნით სკოლა იყენებს, მაფორმირებელ (Formative) და შემაჯამებელ (Summative) შეფასების მეთოდებს. მაფორმირებელი შეფასების დროს სკოლა ახორციელებს მსმენელის სწავლის პროცესის მონიტორინგს, ხოლო შემაჯამებელი შეფასების დროს მსმენელის სწავლის შედეგების შეფასებას. სწავლის შედეგების შეფასებისთვის სკოლა იყენებს ე.წ. პოსტ შეფასებას, რაც გულისხმობს ტესტირებას კურსის/მოდულის დასასრულს. შემაჯამებელი ტესტი მოიცავს საკითხებს მთლიანი მოდულიდან. დადებით შეფასებად ითვლება მსმენელის მიერ მინიმალური ზღვარის - მაქსიმალური ქულის 70% -ის გადალახვა.

ვიზიტის დროს ტრენერებთან/ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებზე საერთო ხედვა არ არსებობს. ადმინისტრაციული პერსონალის განმარტებით, შემაჯამებელი შეფასება შედგება 12 ტესტური დავალებისგან და ტესტის ჯამური ქულა შეადგენს 22 ქულას. სერტიფიკატის გასაცემად საჭიროა მონაწილემ გადალახოს ტესტური დავალებების 70% (ქულების მიხედვით მინიმალური 15 ქულა). ტრენერთა აზრით, უმჯობესია შეფასების სისტემა ყველა საგნისთვის უნიფიცირებული არ იყოს და საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით მოხდეს საგამოცდო დავალებების (იქნება ეს ტესტი, კაზუსი, პრეზენტაცია თუ სხვა) შემუშავება.

ექსპერტთა მოსაზრებით, პროგრამით გათვალისწინებული შეფასების მეთოდები (12 საკითხიანი ტესტი), სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს მსმენელის მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენას. აღნიშნულ მოსაზრებას ინტერვიურების დროს დაეთანხმენ დაწესებულების წარმომადგენლები და განაცხადეს, რომ აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში სწავლის შეფასების მეთოდებს შეცვლიან.

აღსანიშნავია ისიც, რომ პროგრამის კურიკულუმის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ მონაწილე ვერ გადალახავს ფინალური გამოცდის მინიმალურ ზღვარს, მას ეძლევა გადაბარების შესაძლებლობა. იმ შემთხვევაში, თუ გადაბარების მიუხედავად მონაწილე ვერ დააკმაყოფილებს გამოცდისათვის დადგენილ მინიმალურ ზღვარს, მას სერტიფიკატი არ გადაეცემა. აღნიშნული ჩანაწერის მიუხედავად არსად არ არის გაწერილი გადაბარების პროცედურა. კერძოდ, როგორ მოხდება გადაბარების შემთხვევაში მსმენელის შეფასება, (კვლავ ტესტური დავალებები იქნება გათვალისწინებული თუ

სხვა?!) მინიმალური ზღვარიდან რამდენი ქულა უნდა ჰქონდეს დაგროვებული მსმენელს, რომ მოიპოვოს გადაბარების უფლება, თუ ყველას აქვს ერთჯერადად გადაბარებაზე გასვლის უფლება?!

დაწესებულების მიერ დამტკიცებული მსმენელთა შეფასებისა და პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის გაცემის წესის შესაბამისად, შემუშავებულია დასწრების ფურცლის ფორმა. აღნიშნულ ფორმაში, გათვალისწინებული არ არის საათობრივი დატვირთვით როგორ ხდება მსმენელთა დასწრების აღრიცხვა, რაც გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. რადგან, პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის ასაღებად მსმენელს, სწორედ, პროგრამაში შემავალ ცალკეულ მოდულზე/საგანზე არანაკლებ 80%-იანი დასწრების მაჩვენებლი (საკონტაქტო საათების მიხედვით) უნდა უფიქსირდებოდეს.

დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, სკოლაში არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის გამოყენება იგეგმება პროგრამის გასაუმჯობესებლად. კერძოდ, სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის შესაბამისად განხორციელდება პროგრამის შინაარსის, სწავლის შედეგების და შეფასების სისტემის მოდიფიცირება.

ინდიკატორები:

- დანართი 1 - სასწავლო პროგრამა (კურიკულუმი) – „მოხელის მენეჯერული უნარები“;
- დანართი 10 - სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის მიერ შემუშავებული „სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტი (დანართი 6- სასწავლო პროგრამის შეფასება);
- დანართი 4 - მსმენელთა შეფასებისა და პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის გაცემის წესი;
- „მენეჯერული უნარების“ მოდულის საპილოტე ვერსიის დასწრების ფურცელი (ვიზიტის დროს დანართის სახით გამოითხოვა ექსპერტთა ჯგუფმა).

რეკომენდაციები:

- მსმენელის მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დასადგენად, მიზანშეწონილია პროგრამით გათვალისწინებული შეფასების მეთოდების მოდიფიცირება;
- მსმენელთა შეფასებისა და პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის გაცემის წესის შესაბამისად შემუშავებული დასწრების ფურცლის ფორმა უნდა ითვალისწინებდეს მსმენელთა დასწრების აღრიცხვას საათობრივი დატვირთვის გათვალისწინებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, შეფასების სისტემა ყველა საგნისთვის უნიფიცირებული არ იყოს და საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით მოხდეს საგამოცდო დავალებების შემუშავება;
- სასურველია ნათლად გაიწეროს გადაბარების პროცედურა.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.10. პროგრამა ითვალისწინებს პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის გაცემას არანაკლებ 80%იანი დასწრების მაჩვენებლისა (საკონტაქტო საათების მიხედვით) და პროგრამით გათვალისწინებული შეფასების მეთოდების შესაბამისად პროგრამის წარმატებით დასრულების დამადასტურებელი შეფასების შედეგის საფუძველზე.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ,,კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პროგრამა ითვალისწინებს პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის გაცემას არანაკლებ 80%-იანი დასწრების მაჩვენებლისა (საკონტაქტო საათების მიხედვით) და პროგრამით გათვალისწინებული შეფასების მეთოდების შესაბამისად პროგრამის წარმატებით დასრულების დამადასტურებელი შეფასების შედეგის საფუძველზე.

კურსის/მოდულის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი გაიცემა:

- მასში შემავალ ცალკეულ საგანზე არანაკლებ 80%-იანი დასწრების მაჩვენებლის (საკონტაქტო საათების მიხედვით) შემთხვევაში. დასწრების ზღვარის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოხელე ვალდებულია, თავიდან გაიაროს შესაბამისი საგანი; და
- ფინალურ ტესტირებაში მინიმალური ზღვარის - მაქსიმალური ქულის 70 %-ის, გადალახვის შემთხვევაში. იმ შემთხვევაში, თუ მონაწილე ვერ გადალახავს ფინალური ტესტირების მინიმალურ ზღვარს, მას ეძლევა გადაბარების შესაძლებლობა. იმ შემთხვევაში, თუ გადაბარების მიუხედავად მონაწილე ვერ დააკმაყოფილებს დადგენილ მინიმალურ ზღვარს, მას სერტიფიკატი არ გადაეცემა.

„სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტის შესაბამისად, სკოლის მიერ გასაცემ სერტიფიკატზე მისათითებელ ინფორმაციათა ჩამონათვალს, სასურველია დაემატოს მითითება პროგრამის აკრედიტაციის თარიღის და გადაწყვეტილების ნომრის თაობაზე, ასევე, სერტიფიკატის გაცემის თარიღისა და დაწესებულების ბეჭდის შესახებ.

ინდიკატორები:

- დანართი 1 - სასწავლო პროგრამა (კურიკულუმი) – „მოხელის მენეჯერული უნარები“;
- დანართი 4 - მსმენელთა შეფასებისა და პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის გაცემის წესი;
- დანართი 10 - სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის მიერ შემუშავებული „სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტი.

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: • სკოლის მიერ გასაცემ სერტიფიკატზე მისათითებელ ინფორმაციათა ჩამონათვალს, სასურველია დაემატოს მითითება პროგრამის აკრედიტაციის თარიღის და გადაწყვეტილების ნომრის თაობაზე, ასევე, სერტიფიკატის გაცემის თარიღისა და დაწესებულების ბეჭდის შესახებ.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) • მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან
პროგრამის შინაარსი	☐	☐	☒

2. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რესურსები

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რესურსები უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამის ეფექტიან განხორციელებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

2.1. სწავლებას ახორციელებს სათანდო კვალიფიკაციის მქონე პირი/პირები (შემდგომში – ტრენერი):
ა) ტრენერს აქვს პროგრამის სასწავლო კომპონენტის შესაბამისი: 1) აკადემიური უმაღლესი ან მასთან გათანაბრებული განათლება, ან შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება; და 2) ბოლო 3 წლის განმავლობაში ტრენერად მუშაობის გამოცდილება;
ბ) ტრენერთან გაფორმებულია ხელშეკრულებები ან წინასწარი შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტები;
გ) ტრენერს არ აქვს ინტერესთა კონფლიქტი, კერძოდ, ტრენერი არ შეიძლება იყოს პირი, რომლის სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებამაც შეიძლება პირდაპირი და უშუალო ზეგავლენა მოახდინოს აკრედიტაციის პროცესის მიუკერძოებლად და ობიექტურად განხორციელებაზე.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკრედიტაციის სტანდარტის შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში სწავლებას უნდა ახორციელებდნენ პირები, რომელთაც აქვთ პროგრამის სასწავლო კომპონენტის შესაბამისი: 1) აკადემიური უმაღლესი ან მასთან გათანაბრებული განათლება, ან შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება; და 2) ბოლო 3 წლის განმავლობაში ტრენერად მუშაობის გამოცდილება.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის განხორციელების ფაზაში სკოლა თანამშრომლობს სხვადასხვა დარგის ექსპერტებთან/ტრენერებთან, რომლებთანაც გაფორმებული აქვს შრომითი ურთიერთობების შესახებ ხელშეკრულებები. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეისწავლა, ვიზიტის დროს გამოთხოვილი ტრენერთა პირადი საქმეები და დაადგინა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირთა უმრავლესობას ცალკეულ საგანთან მიმართებით არ უდასტურდებათ შესაბამისი კომპეტენცია. კერძოდ:

სოფიკო კიკუაშვილი - დაწესებულებასა და **სოფიკო კიკუაშვილ**ის შორის 2020 წლის 20 იანვრის შრომითი ურთიერთობის შესახებ შეთანხმების შესაბამისად, მან მოხელის მენეჯერული უნარების პროგრამის ფარგლებში უნდა განახორციელოს სატრენინგო მომსახურეობა „ორგანიზაციული მართვისა“ და „პროფესიული კომუნიკაციის“ თემატიკებზე“.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (**სოფიკო კიკუაშვილ**ის CV, დანართი N14), ასევე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ სოფიკო კიკუაშვილს არ აქვს ბოლო სამი წლის განმავლობაში შესაბამის საგანში („ორგანიზაციული მართვა“) ტრენერად მუშაობის გამოცდილება;

თამთა ცოცხალაშვილი - დაწესებულებასა და თამთა ცოცხალაშვილს შორის 2020 წლის 17 იანვრის შრომითი ურთიერთობის შესახებ შეთანხმების შესაბამისად, მან მოხელის მენეჯერული უნარების პროგრამის ფარგლებში უნდა განახორციელოს სატრენინგო მომსახურეობა „ორგანიზაციული მართვისა“ და „საჯარო სამსახურის ეთიკისა და ღირებულებების“ თემატიკაზე.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (თამთა ცოცხალაშვილის CV, დანართი N14), ასევე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება რომ თამთა ცოცხალაშვილს არ აქვს ბოლო სამი წლის განმავლობაში შესაბამის საგანში (ორგანიზაციული მართვა) ტრენერად მუშაობის გამოცდილება;

ნანა ღვალაძე - დაწესებულებასა და ნანა ღვალაძეს შორის 2020 წლის 20 იანვრის შრომითი ურთიერთობის შესახებ შეთანხმების შესაბამისად, მან მოხელის მენეჯერული უნარების პროგრამის ფარგლებში უნდა განახორციელოს სატრენინგო მომსახურეობა „ორგანიზაციული მართვის“, „პროფესიული კომუნიკაციისა“ და „საჯარო სამსახურის ეთიკა და ღირებულებების“ თემატიკაზე.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ნანა ღვალაძის CV, დანართი N14), ასევე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება

რომ ნანა ღვალაძეს არ აქვს ბოლო სამი წლის განმავლობაში „ორგანიზაციული მართვისა“ და „საჯარო სამსახურის ეთიკა და ღირებულებების“ შესაბამის საგანში ტრენერად მუშაობის გამოცდილება;

ლაშა ინაური - დაწესებულებასა და ლაშა ინაურს შორის 2020 წლის 20 იანვრის შრომითი ურთიერთობის შესახებ შეთანხმების შესაბამისად, მან მოხელის მენეჯერული უნარების პროგრამის ფარგლებში უნდა განახორციელოს სატრენინგო მომსახურეობა „პროფესიული კომუნიკაციისა“ და „საჯარო სამსახურის ეთიკა და ღირებულებების“ თემატიკებზე.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ლაშა ინაურის CV, დანართი N14), ასევე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება რომ ლაშა ინაურს არ აქვს ბოლო სამი წლის განმავლობაში შესაბამის საგნებში („პროფესიული კომუნიკაცია“ და „საჯარო სამსახურის ეთიკა და ღირებულებები“) ტრენერად მუშაობის გამოცდილება;

დავით ძიძიშვილი - დაწესებულებასა და დავით ძიძიშვილს შორის 2020 წლის 17 იანვრის შრომითი ურთიერთობის შესახებ შეთანხმების შესაბამისად, მან მოხელის მენეჯერული უნარების პროგრამის ფარგლებში უნდა განახორციელოს სატრენინგო მომსახურეობა „საჯარო სამსახურის ეთიკა და ღირებულებების“ თემატიკაზე.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (დავით ძიძიკაშვილის CV, დანართი N14), ასევე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება რომ დავით ძიძიშვილს არ აქვს ბოლო სამი წლის განმავლობაში შესაბამის საგანში („საჯარო სამსახურის ეთიკა და ღირებულებები“) ტრენერად მუშაობის გამოცდილება;

ირმა მიქაძე - დაწესებულებასა და ირმა მიქაძეს შორის 2020 წლის 20 იანვრის შრომითი ურთიერთობის შესახებ შეთანხმების შესაბამისად, მან მოხელის მენეჯერული უნარების პროგრამის ფარგლებში უნდა განახორციელოს სატრენინგო მომსახურეობა „საჯარო სამსახურის ეთიკა და ღირებულებების“, „ორგანიზაციული მართვის“, ადამიანური რესურსების მართვისა“ და „ცვლილებების მართვის“ თემატიკებზე.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ირმა მიქაძის CV, დანართი N14), ასევე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება რომ ირმა მიქაძეს არ აქვს ბოლო სამი წლის განმავლობაში შესაბამის საგნებში („საჯარო სამსახურის ეთიკა და ღირებულებები“ „ორგანიზაციული მართვა“, ადამიანური რესურსების მართვა“ და „ცვლილებების მართვა“) ტრენერად მუშაობის გამოცდილება;

ეკატერინე ურუშაძე - დაწესებულებასა და ეკატერინე ურუშაძეს შორის 2020 წლის 17 იანვრის შრომითი ურთიერთობის შესახებ შეთანხმების შესაბამისად, მან მოხელის მენეჯერული უნარების პროგრამის ფარგლებში უნდა განახორციელოს სატრენინგო მომსახურეობა „საჯარო სამსახურის ეთიკა და ღირებულებების“ თემატიკაზე.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ეკატერინე ურუშაძის CV, დანართი N14), ასევე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება რომ ეკატერინე ურუშაძეს არ აქვს ბოლო სამი წლის განმავლობაში შესაბამის საგანში („საჯარო სამსახურის ეთიკა და ღირებულებები“) ტრენერად მუშაობის გამოცდილება;

თეიმურაზ ბუსხრიკიძე - დაწესებულებასა და თეიმურაზ ბუსხრიკიძეს შორის 2020 წლის 17 იანვრის შრომითი ურთიერთობის შესახებ შეთანხმების შესაბამისად, მან მოხელის მენეჯერული უნარების პროგრამის ფარგლებში უნდა განახორციელოს სატრენინგო მომსახურეობა „საჯარო სამსახურის ეთიკა და ღირებულებების“ თემატიკაზე.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (თეიმურაზ ბუსხრიკიძის CV, დანართი N14), ასევე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება რომ თეიმურაზ ბუსხრიკიძეს არ აქვს ბოლო სამი წლის განმავლობაში შესაბამის საგანში („საჯარო სამსახურის ეთიკა და ღირებულებები“) ტრენერად მუშაობის გამოცდილება;

მაკა პეტრიაშვილი - დაწესებულებასა და მაკა პეტრიაშვილს შორის 2020 წლის 20 იანვრის შრომითი ურთიერთობის შესახებ შეთანხმების შესაბამისად, მან მოხელის მენეჯერული უნარების პროგრამის ფარგლებში უნდა განახორციელოს სატრენინგო მომსახურეობა „პროფესიული კომუნიკაციის“, „საჯარო სამსახურის ეთიკასა და ღირებულებების“, ადამიანური რესურსების მართვისა“ და „ცვლილებების მართვის“ თემატიკებზე.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (მაკა პეტრიაშვილის CV, დანართი N14), ასევე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი დოკუმენტაციის (სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლასა და პერტიაშვილს შორის 2018 წლის 26 მარტის N2/1; 2017 წლის 1 მაისის N6; 2017 წლის 23 მაისის N22; 2017 წლის 16 თებერვლის N1; 2018 წლის 11 ივლისის N11; 2018 წლის 31 ოქტომბრის N29/1; 2018 წლის 2 ოქტომბრის N19/1; 2019 წლის 28 ოქტომბრის N04/10; 2019 წლის 19 ოქტომბრის N3/12; 2019 წლის 2 დეკემბრის N4/12-1 შრომითი ხელშეკრულებები) საფუძველზე დგინდება, რომ მაკა პეტრიაშვილს არ აქვს ბოლო სამი წლის განმავლობაში შესაბამის საგანში (საჯარო სამსახურის ეთიკა და ღირებულებები) ტრენერად მუშაობის გამოცდილება;

გრიგოლ მაგრაქველიძე - დაწესებულებასა და გრიგოლ მაგრაქველიძეს შორის 2020 წლის 17 იანვრის შრომითი ურთიერთობის შესახებ შეთანხმების შესაბამისად, მან მოხელის მენეჯერული უნარების პროგრამის ფარგლებში უნდა განახორციელოს სატრენინგო მომსახურეობა „ორგანიზაციული მართვის“, „პროფესიული კომუნიკაციისა“ და „ცვლილებები მართვის“ თემატიკებზე.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (გრიგოლ მაგრაქველიძის CV, დანართი N14), ასევე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება რომ გრიგოლ მაგრაქველიძეს არ აქვს ბოლო სამი წლის განმავლობაში შესაბამის საგნებში („ორგანიზაციული მართვა“ და „ცვლილებების მართვა“) ტრენერად მუშაობის გამოცდილება;

ეთერ ჩაჩანიძე - დაწესებულებასა და ეთერ ჩაჩანიძეს შორის 2020 წლის 17 იანვრის შრომითი ურთიერთობის შესახებ შეთანხმების შესაბამისად, მან მოხელის მენეჯერული უნარების პროგრამის ფარგლებში უნდა განახორციელოს სატრენინგო მომსახურეობა „საჯარო სამსახურის ეთიკა და ღირებულებები“ თემატიკაზე.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ეთერ ჩაჩანიძის CV, დანართი N14), ასევე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება რომ ეთერ ჩაჩანიძეს არ აქვს ბოლო სამი წლის განმავლობაში შესაბამის საგანში („საჯარო სამსახურის ეთიკა და ღირებულებები“) ტრენერად მუშაობის გამოცდილება;

გიული ჭკუასელი - დაწესებულებასა და გიული ჭკუასელს შორის 2020 წლის 17 იანვრის შრომითი ურთიერთობის შესახებ შეთანხმების შესაბამისად, მან მოხელის მენეჯერული უნარების პროგრამის ფარგლებში უნდა განახორციელოს სატრენინგო მომსახურეობა „ადამიანური რესურსების მართვის“, „ცვლილებების მართვის“, „პროფესიული კომუნიკაციისა“ და „ორგანიზაციული მართვის“ თემატიკებზე.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (გიული ჭკუასელის CV, დანართი N14), ასევე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება რომ გიული ჭკუასელს არ აქვს ბოლო სამი წლის განმავლობაში შესაბამის საგანებში („ადამიანური რესურსების მართვა“, „ცვლილებების მართვა“, „პროფესიული კომუნიკაცია“ და „ორგანიზაციული მართვა“) ტრენერად მუშაობის გამოცდილება;

ნინო ჯაფარიძე - დაწესებულებასა და ნინო ჯაფარიძეს შორის 2020 წლის 20 იანვრის შრომითი ურთიერთობის შესახებ შეთანხმების შესაბამისად, მან მოხელის მენეჯერული უნარების პროგრამის ფარგლებში უნდა განახორციელოს სატრენინგო მომსახურეობა „პროფესიული კომუნიკაციის“ თემატიკაზე.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ნინო ჯაფარიძის CV, დანართი N14), ასევე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება რომ ნინო ჯაფარიძეს არ აქვს ბოლო სამი წლის განმავლობაში შესაბამის საგანში („პროფესიული კომუნიკაცია“) ტრენერად მუშაობის გამოცდილება;

ნინო ფურცხვანიძე - დაწესებულებასა და ნინო ფურცხვანიძეს შორის 2020 წლის 17 იანვრის შრომითი ურთიერთობის შესახებ შეთანხმების შესაბამისად, მან მოხელის მენეჯერული უნარების პროგრამის ფარგლებში უნდა განახორციელოს სატრენინგო მომსახურეობა „ორგანიზაციული მართვის“, „ადამიანური რესურსების მართვის“ „ცვლილებების მართვის“, „საჯარო სამსახურის ეთიკის“, „პროფესიული კომუნიკაციის“- თემატიკებზე.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ნინო ფურცხვანიძის CV, დანართი N14), ასევე, ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი დოკუმენტაციის საფუძველზე, დგინდება რომ ნინო ფურცხვანიძეს მხოლოდ, ერთ საგანთან მიმართებით, კერძოდ, „საჯარო სამსახურის ეთიკა“ არ უდასტურდება ბოლო სამი წლის განმავლობაში ტრენერად მუშაობის გამოცდილება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად დგინდება, რომ:

1. საგანში: ორგანიზაციული მართვა

- ბოლო 3 წლის განმავლობაში შესაბამის სფეროში ტრენერად მუშაობის გამოცდილება **უდასტურდებათ** შემდეგ ტრენერებს:

- ნინო ფურცხვანიძე
- თამარ გურეშიძე
- მაია ხოსიტაშვილი
- ირინა აღაპიშვილი

- ბოლო 3 წლის განმავლობაში ტრენერად მუშაობის გამოცდილება **არ უდასტურდებათ** შემდეგ ტრენერებს:

- სოფიკო კიკუაშვილი
- თამთა ცოცხალაშვილი
- ნანა ღვალაძე
- ირმა მიქაძე
- გრიგოლ მაგრაქველიძე
- გიული ჭკუასელი

2. საგანში: პროფესიული კომუნიკაცია

- ბოლო 3 წლის განმავლობაში ტრენერად მუშაობის გამოცდილება **უდასტურდებათ** შემდეგ ტრენერებს:

- ნინო ფურცხვანიძე
- ნანა ღვალაძე
- მაკა პეტრიაშვილი
- მაია ხოსიტაშვილი
- მაია მუშკუდიანი
- სოფიკო კიკუაშვილი
- გრიგოლ მაგრაქველიძე

ბოლო 3 წლის განმავლობაში ტრენერად მუშაობის გამოცდილება **არ უდასტურდებათ** შემდეგ ტრენერებს:

- ლაშა ინაური
- გიული ჭკუასელი
- ნინო ჯაფარიძე

3. საგანში: ღირებულებები საჯარო სამსახურში

- ბოლო 3 წლის განმავლობაში ტრენერად მუშაობის გამოცდილება **უდასტურდებათ** შემდეგ ტრენერებს:

- თამთა ცოცხალაშვილი
- თეა სამჭკუაშვილი
- ეკატერინე სირაძე
- ირინა აღაპიშვილი

ბოლო 3 წლის განმავლობაში ტრენერად მუშაობის გამოცდილება არ უდასტურდებათ შემდეგ ტრენერებს:

- ნანა ღვალაძე
- ლაშა ინაური
- დავით ძიძიშვილი
- ირმა მიქაძე
- თეიმურაზ ბუსხრიკიძე
- ეკატერინე ურუშაძე
- მაკა პეტრიაშვილი
- ეთერ ჩაჩანიძე
- ნინო ფურცხვანიძე

4. საგანში ადამიანური რესურსების მართვა

- ბოლო 3 წლის განმავლობაში ტრენერად მუშაობის გამოცდილება **უდასტურდებათ** შემდეგ ტრენერებს:

- ნინო ფურცხვანიძე

- მაკა პეტრიაშვილი
- თამარ გურეშიძე

ბოლო 3 წლის განმავლობაში ტრენერად მუშაობის გამოცდილება **არ უდასტურდებათ** შემდეგ ტრენერებს:

- ირმა მიქაძე
- გიული ჭკუასელი

5. საგანში ცვლილებების მართვა

- ბოლო 3 წლის განმავლობაში ტრენერად მუშაობის გამოცდილება **უდასტურდებათ** შემდეგ ტრენერებს:

- ნინო ფურცხვანიძე
- მაკა პეტრიაშვილი
- ირინა აღაპიშვილი
- თამარ გურეშიძე

ბოლო 3 წლის განმავლობაში ტრენერად მუშაობის გამოცდილება **არ უდასტურდებათ** შემდეგ ტრენერებს:

- ირმა მიქაძე
- გრიგოლ მაგრაქველიძე
- გიული ჭკუასელი

დაწესებულებას რიგ შემთხვევებში შრომითი ურთიერთობის შესახებ შეთანხმებები აქვს გაფორმებული ტრენერთან, რომელსაც არ უდასტურდება შესაბამის საგანში ბოლო სამი წლის განმავლობაში ტრენერად მუშაობის გამოცდილება.

არის შემთხვევები, როდესაც ტრენერს ხელშეკრულებით განსაზღვრული აქვს რამდენიმე საგანში ტრენინგის ჩატარების უფლება, ამათგან რამდენიმე მათგანზე მას უდასტურდება შესაბამის სფეროში ბოლო 3 წლის განმავლობაში ტრენერად მუშაობის გამოცდილება, რამდენიმეზე კი -არა.

ბ) დაწესებულებას ტრენერებთან გაფორმებული აქვს შრომითი ურთიერთობის შესახებ შეთანხმებები. წარმოდგენილია თითოეულ ტრენერთან გაფორმებული ორი შრომითი ურთიერთობის შესახებ შეთანხმება (დანართი N11 და დანართი N12).
პირველში (დანართი N11) მითითებული არ არის თუ რომელი ტრენერი რა საგანში ატარებს ტრენინგს. დანართ N12-ში წარმოდგენილი შეთანხმებები შეიცავს ინფორმაციას იმის თაობაზე, რომელი ტრენერი რომელ საგანში ატარებს ტრენინგს.
საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანამად „შრომითი ურთიერთობა არის შრომის ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ.“

დაწესებულების მიერ ტრენერებთან დადებული არც ერთი შეთანხმება არ შეიცავს ინფორმაციას ტრენერის ანაზღაურების შესახებ. გ) დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ტრენერების პირადი საქმეების შესწავლით არ დგინდება რომ ტრენერს აქვს ინტერესთა კონფლიქტი, ან ტრენერად მოწვეულია ისეთი პირი, რომლის სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებამაც შეიძლება პირდაპირი და უშუალო ზეგავლენა მოახდინოს აკრედიტაციის პროცესის მიუკერძოებლად და ობიექტურად განხორციელებაზე.
ინდიკატორები: o დანართი 11 - ტრენერებთან გაფორმებული შეთანხმებები; o დანართი 12 - ტრენერებთან გაფორმებული შეთანხმებები; o დანართი 14 - ტრენერების CV; o დანართი 5 – ტრენერის სამუშაო აღწერა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები; o ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი დოკუმენტაცია (ტრენერების პირადი საქმეები); o ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • დაწესებულებამ ტრენერებს უნდა შესთავაზოს იმ საგანში ტრენინგის ჩატარება და ასახოს ეს მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში, რომელშიც მას უდასტურდება ბოლო სამი წლის განმავლობაში ტრენერად მუშაობის გამოცდილება; • ტრენერებს, რომლებსაც არ უდასტურდებათ შესაბამის საგანში ბოლო 3 წლის განმავლობაში ტრენერად მუშაობის გამოცდილება, არ უნდა მიეცეთ ტრენინგების ჩატარების შესაძლებლობა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: • ხელშეკრულების გაფორმებისას უმჯობესი იქნება თუკი მოხდება ხელშეკრულებაში იმ შინაარსის პუნქტის ასახვა, რომელიც დაადასტურებს, რომ ტრენერი თავის ვალდებულებას ასრულებს შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ. კონკრეტული თანხის მითითება აუცილებელი არ არის.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) • მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რესურსები ოპტიმალურად არის განაწილებული:
ა) სწავლების საკლასო მეცადინეობის მეთოდით/ ფორმით განხორციელების შემთხვევაში, ერთი ნაკადის მსმენელთა რაოდენობა არ აღემატება 20 ადამიანს;
ბ) მსმენელის დატვირთვა არ აღემატება სამუშაო დღეებში 4 საკონტაქტო საათს, თუ მსმენელი იმავე დღეს ასრულებს სამსახურებრივ მოვალეობებსაც, ხოლო თუ მსმენელი სამუშაო დღეს განთავისუფლებულია სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისაგან ან დატვირთვა გათვალისწინებულია არასამუშაო დღეებში – 6 საკონტაქტო საათს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ა) დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის, პროგრამის კურიკულუმისა და საგნების სილაბუსების მიხედვით დგინდება, რომ საკლასო მეცადინეობის მეთოდით/ფორმით სწავლების მიმდინარეობისას ერთი ნაკადის მსმენელთა რაოდენობა არ აღემატება 20 ადამიანს;

ბ) ამავე დოკუმენტაციით დგინდება, რომ პროგრამა ითვალისწინებს მსმენელის დატვირთვას - მხოლოდ 6 საკონტაქტო საათს. დაწესებულებას არ აქვს შეთავაზებული ისეთი დატვირთვის პროგრამა მსმენელისათვის, რომელიც არ აღემატება სამუშაო დღეებში 4 საათს. დაწესებულებას პროგრამის განხორციელების თარიღებად არჩეული აქვს 2020 წლის 2-10 ივლისი და 28 სექტემბერი - 6 ოქტომბერი პერიოდები, რომლებიც არის სამუშაო დღეები. შესაბამისად, პროგრამის გავლას ვერ მოახერხებს ისეთი მსმენელი, რომელიც იმავე დღეს ასრულებს სამსახურეობრივ მოვალეობასაც. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილება და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის N46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ბ.ბ) ქვეპუნქტი ითვალისწინებს სამუშაო დღეებში მსმენელის დატვირთვის შესაძლებლობას. ამდენად, მსმენელისათვის, რომელიც უპირატესობას ანიჭებს სამუშაო დღეებში ტრენინგის მოსმენას, ალტერნატივის შეთავაზება დაწესებულების მხრიდან მნიშვნელოვანია.

ამას გარდა, აღსანიშნავია, რომ დისტანციური სწავლების კურსისთვის განსაზღვრული 2 საათი პროგრამის განრიგში გათვალისწინებულია 2 ივლისი - 8 ივლისის ფარგლებში. პროგრამის განრიგის შესაბამისად, ამ პერიოდში, სხვა საგნობრივი დატვირთვაც გათვალისწინებულია 6 საათი. აკრედიტაციის სტანდარტის გათვალისწინებით, რადგან მსმენელის მაქსიმალური დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 6 საათს, მსგავს შემთხვევაში გამოვა რომ მსმენელს ჯამურად 8 საათიანი დატვირთვით მოუწევს სწავლა, რაც წინააღმდეგობაში მოდის აკრედიტაციის სტანდარტებთან. კერძოდ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის N46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის დებულების“ მე-4 მუხლით განსაზღვრულ რეგულაციასთან.

ინდიკატორები:

- o დანართი 1 - პროგრამის კურიკულუმი;
- o დანართი 2 - საგნების სილაბუსები;
- o დანართი 6 - მოდულის განხორციელების განრიგი;
- o ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- პროგრამაში გათვალისწინებული საათობრივი დატვირთვა შესაბამისობაში უნდა მოვიდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის N46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის დებულების“ მე-4 მუხლით განსაზღვრულ რეგულაციასთან;
- მსმენელთა ინტერესის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია დაწესებულებამ პროგრამის განხორციელებისას ალტერნატივის სახით შესთავაზოს მსმენელებს ისეთი დატვირთვა, რომელიც არ აღემატება სამუშაო დღეებში 4 საათს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. დაწესებულებას შეუძლია პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების (დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება) განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსების დემონსტრირება:
ა) არსებობს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას;
ბ) შემუშავებულია პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც რეალისტური და გაზომვადია; ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს;
გ) ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებსა და საჭიროებებს;
დ) რესურსები ხელმისაწვდომი და გამოყენებადია სპეციალური საჭიროების მქონე პირებისათვის;
ე) არსებობს პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების სრულყოფილად განხორციელების უზრუნველყოფისთვის საჭირო ფართი, სადაც დაცულია ჰიგიენისა და უსაფრთხოების ნორმები, მათ შორის, არსებობს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის; ფართის მართლზომიერი მფლობელობა დასტურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით ან არსებობს

წერილობითი შეთანხმება, საჭიროებიდან გამომდინარე, ფართით დროებითი სარგებლობის შესაძლებლობის შესახებ.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, სკოლა სასწავლო პროგრამას ახორციელებს მის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობაში, მდებარე ქ. თბილისი დანიელ ჭონქაძის #20. დაწესებულების განმარტებით, სკოლის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობებს და მასზე მიმაგრებულ მიწის ნაკვეთს ადევს გრიფით საიდუმლო, რის გამოც დანართის სახით ვერ წარმოადგინეს საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილის 2020 წლის 15 იანვრის წერილი, რომლის მიხედვითაც დაწესებულება სასწავლო ღონისძიებებს ახორციელებს მის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობაში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში დანიელ ჭონქაძის #20-ში და გააჩნია სასწავლო პროგრამების განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალურ ტექნიკური რესურსი. თავდაცვის სამინისტროს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი დამაკმაყოფილებლად თვლის დაწესებულების მიერ წარმოდგენილ წერილს და მიაჩნია, რომ ფართის მართლზომიერი მფლობელობა ამ დოკუმენტით დასტურდება. ფართის ვიზუალური დათვალიერებისას დასტურდება რომ დაწესებულებას გააჩნია საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას საკლასო მეცადინეობის ფარგლებში. კერძოდ, შენობაში არის 2 დიდი სატრენინგო სივრცე, ერთი პირველ, ხოლო მეორე - მესამე სართულზე. თითოეულ მათგანში თავისუფლად განთავსდება 20 და მეტი მსმენელი. დაწესებულებას ასევე გააჩნია ე.წ. 4 სინდიკატ ოთახი, აქედან 3 ოთახში შესაძლებელია 7-8 მსმენელის თავისუფლად განთავსება ხოლო ერთ ოთახში 10-12 მსმენლის. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ეს ოთახები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს პროგრამის ფარგლებში მსმენელების მიერ სხვადასხვა სახის ჯგუფური დავალებების შესრულებისას. სატრენინგო სივრცეები და სინდიკატ-ოთახები აღჭურვილია სწავლებისთვის საჭირო ტექნოლოგიებითა და რესურსით, მათ შორის პროექტორით, დაფით, ლეპტოპით, საპრეზენტაციო დაფით და ტრენინგის ჩასატარებელი საკანცელარიო ნივთებით. ამას გარდა, გასათვალისწინებელია, რომ პროგრამაში სწავლების ფორმად მითითებულია ელექტრონული სწავლება. როგორც უკვე აღინიშნა, ელექტრონული სწავლების დროს, აუცილებელია დაწესებულებას გააჩნდეს სათანადო ტექნიკური აღჭურვილობა. კერძოდ, სკოლა უზრუნველყოფილი უნდა იყოს პროგრამული და ტექნიკური თვალსაზრისით. მოცემულ შემთხვევაში, რადგან სკოლა მზად არის მხოლოდ ერთი კონკრეტული საგნის ფარგლებში და არა მთლიანად პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოს ელექტრონული სწავლება, შესაბამისად, მატერიალურ-ტექნიკური რესურსი ელექტრონული სწავლების განსახორციელებლად არ არის დამაკმაყოფილებელი. შენობაში დაცულია ჰიგიენისა და უსაფრთხოების ნორმები. ამასთანავე, პირველ სართულზე არსებული რესურსი ხელმისაწვდომი და გამოყენებადია სპეციალური საჭიროების მქონე პირებისათვის. დაწესებულებას გააჩნია ხმის გამაძლიერებელი მოწყობილობა. თუმცა მხედველობის პრობლემის მქონე პირთათვის დამხმარე საშუალებები დაწესებულებას არ გააჩნია. დაწესებულებას გააჩნია როგორც საკუთარი (870,000 ლარის ოდენობით), ასევე სასწავლო პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც დამტკიცებულია სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის დირექტორის ბრძანებით. პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებულია ხარჯები 20 მსმენელის კვებისთვის, ლექტორთა დაქირავებისათვის, სერტიფიკატებისთვის, საკანცელარიო საქონლისა და წყლისთვის. ინტერვიუს დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ

აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია პროგრამის საჭიროებებიდან გამომდინარე დამატებითი შესყიდვების განხორციელება დაწესებულების ბიუჯეტიდან.

დაწესებულების ბიუჯეტი პროგრამის განხორციელებისათვის რეალისტური და გაზომვადია, ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ მათ პროგრამის განხორციელებისათვის ჰყავთ ადმინისტრაციული პერსონალი, რომელთა ფუნქციები შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებსა და საჭიროებებს.

ინდიკატორები:

- დანართი 12 - პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაოს აღწერები;
- დანართი 8 - სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის ბიუჯეტი;
- დანართი 7 - სასწავლო პროგრამის ბიუჯეტი;
- საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილის 2020 წლის 15 იანვრის წერილი;
- ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- პროგრამაში ელექტრონული სწავლების მეთოდის გათვალისწინების შემთხვევაში, აუცილებელია, დაწესებულება უზრუნველყოფილი იყოს სათანადო ტექნიკური და პროგრამული აღჭურვილობით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4. მსმენელთა მიერ პროგრამის შეფასება ითვალისწინებს უკუკავშირს ადამიანურ და მატერიალურ ტექნიკურ რესურსებთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც დაწესებულება ადგენს სამიზნე ნიშნულებს და ზრუნავს მათ გაუმჯობესებაზე.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულებას გააჩნია „სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტი. დაწესებულების წარმომადგენლების განცხადებით, ამ მეთოდოლოგიას ისინი იყენებენ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის მიზნებისთვისაც. ეს დოკუმენტი (დანართი N10) მსმენელთა მიერ პროგრამის შეფასების ნაწილში ითვალისწინებს შემდეგი სახის კომპონენტებს: • შეფასების კითხვარი მსმენელებისთვის (დანართი N10; გვ:17-18); • შეფასების კითხვარი კურსდამთავრებულებისთვის (დანართი N10; გვ 26). შეფასების კითხვარი მსმენელებისათვის შეიცავს საკითხებს, რომლებიც ეხება კურსის შინაარსისა და სტრუქტურის შეფასებას, კურსის ორგანიზაციული საკითხის შეფასებას, სამუშაო ჯგუფის შეფასებას (მათ შორის ტრენერის შეფასებას) და დამატებითი კომენტარის გრაფას (კურსის შინაარსთან, სტრუქტურასთან, მომხსენებლებთან, კურსის ორგანიზებასა და ადმინისტრირებასთან დაკავშირებით). შეფასების კითხვარი კურსდამთავრებულებისთვის ძირითადად ეხება კურსის შინაარსობრივი მხარის შეფასებას. პროგრამის შეფასების კითხვარი შეიცავს მსმენელთა მიერ ადამიანური რესურსის შეფასების კომპონენტს, თუმცა არ შეიცავს მკაფიოდ და ნათლად ჩამოყალიბებულ კითხვას, რომელიც უზრუნველყოფს მატერიალურ-ტექნიკური რესურსით მსმენელის კმაყოფილების შესახებ ინფორმაციის გაგებას. ვინაიდან ბუნდოვანია შეფასების მექანიზმი მსმენელთა მიერ პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებთან დაკავშირებით, დაწესებულებას გაუჭირდება ამ ნაწილში სამიზნე ნიშნულების დადგენა და მათ გაუმჯობესებაზე ზრუნვა.
ინდიკატორები: o დანართი 10 - სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის მიერ შემუშავებული „სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტი; o ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • მსმენელთა მიერ პროგრამის შეფასების კითხვარი საჭიროებს გაუმჯობესებას, ვინაიდან არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული მსმენელის მიერ პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებთან დაკავშირებით შეფასების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა დაწესებულების მიერ სამიზნე ნიშნულების შედგენას და იზრუნებდა მათ გაუმჯობესებაზე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: • თვითშეფასებაში მითითებული დანართების (დანართი 9, დანართი 15 და დანართი 16) სახელწოდებები გასასწორებელია.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

• მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან
პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რესურსები	☐	☐	☒